

მშობელთა პედაგოგიზაციის პრობლემები

მარინე გურგენიძე

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი
განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის დისერტანტი, პედაგოგიკურ მეცნიერებათა
დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი.

ანოტაცია

მოსწავლეთა სწავლების დადებითი შედეგების მისაღწევად აუცილებელია მშობელთა პედაგოგიზაცია. მისი საფუძველი არის: ოჯახსა და სკოლას შორის განსხვავებული ნიშნების დადგენა და მათი გათვალისწინებით მუშაობის აგება; სკოლისა და ოჯახის მტკიცე მოკავშირეებად ქცევა და მასწავლებელ-მოსწავლე-მშობლის ურთიერთობის გაჯანსაღება; მოსწავლის საოჯახო სასწავლო ცხოვრებაში მასწავლებლის სისტემატური მონაწილეობა; მშობლების აქტიური ჩართულობა სასწავლო პროცესში. მშობელთა შეგნებული დამოკიდებულება სწავლა-აღზრდისას შვილის პრობლემებისა და შეცდომებისადმი. მასწავლებელთა ერუდიცია, განათლება, მასზე დაყრდნობით დროული, მიზანმიმართული, დამაჯერებელი რეკომენდაციები. წინამდებარე სტატიაში ვრცლად გვაქვს გაშუქებული ყველა ზემოთხსენებული პრობლემის გადაწყვეტის საშუალებები.

საკვანძო სიტყვები: ოჯახი, სწავლა-აღზრდა, მშობელთა პედაგოგიზაცია, მასწავლებელ-მოსწავლე-მშობლის ურთიერთობა, მასწავლებელთა ერუდიცია.



მოსწავლის გონებრივი შრომის წარმატება არის ერთ-ერთი წყარო მოსწავლის ნერვული სისტემის სწორად ფუნქციონირებისათვის და იგი ამავე დროს არის შედეგი იმავე ნერვული სისტემის სწორად ფუნქციონირებისა.

გონებრივი შრომის წარმატებების ადამიანში მიმდინარე ფიზიოლოგიურ პროცესებთან უშუალო კავშირზე ლაპარაკობს კ. დ. უშინსკი ნაშრომში „შრომის ფსიქიკური და აღმზრდელობითი მნიშვნელობა.“ „...გონებრივი შრომა აუცილებელია ადამიანის ძალთა განითარებისა და მისი სხეულის საღი და ნორმალური მდგომარეობისა – ყველას არა აქვს ნათლად შეგნებული... მაგრამ უამრავი მაგალითით შეიძლება დავამტკიცოთ, ის, რომ სულიერ ძალთა უმოქმედობა ფიზიკური შრომის პირობებშიც კი ცუდ გავლენას ახდენს ადამიანის სხეულზე... ადამიანის ფიზიკური ორგანიზმი მოწყობილია არა მარტო ფიზიკური, არამედ სულიერი ცხოვრებისათვისაც. ყოველგვარი გონებრივი შრომა... კეთილნაყოფიერად მოქმედებს სისხლის მიმოქცევასა და საჭმლის მონელებაზე იმით, რომ მოძრაობაში მოჰყავს ნერვული სისტემა... გონებრივი შრომით ნერვული სისტემის ძლიერი განვითარება არაჩვეულებრივ სიცოცხლის უნარიანობას აძლევს ადამიანის სხეულს... ადამიანები, რომლებიც გონებრივ შრომას არიან შეჩვეულნი, არანაკლებ და ზოგჯერ უკეთესადაც იტანენ კლიმატური პირობების გამოცვლას, ცუდ ჰაერს, საჭმლის ნაკლებობას და უმოძრაობას, ვიდრე ის ადამიანები,

რომელთაც ძლიერ განვითარებული აქვთ კუნთები, მაგრამ რომელთა ნერვული სისტემა სუსტად და დუნედ მოქმედებს. [1, გვ. 173]

გონებრივი შრომა დადებით ზემოქმედებას ახდენს ორგანიზმზე, როცა ის ფიზიკური, ფსიქიკური, სოციალური გარემოსადმი და სასწავლო-სააღმზრდელო პროცესისადმი წაყენებული ყველა ჰიგიენური მოთხოვნების დაცვით იქნება წარმოებული. **ჯანსაღ გარემოში წარმოებულ სწავლებას, როგორც სკოლაში, ასევე ოჯახში, მოსწავლეთა ნერვული სისტემის მაღალ ორგანიზებასთან ერთად მივყავარ სწავლების დადებით შედეგებამდე.** ოჯახში სასარგებლო სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ფორმირებისათვის უმნიშვნელოვანესია მასწავლებელსა და მშობლებს შორის ჯანსაღი, თანამშრომლობითი ურთიერთობები.

მასწავლებელსა და მოსწავლის მშობლებს შორის **თანამშრომლობით** ურთიერთობას თავისი მყარი საფუძველი აქვს. ეს გახლავთ ოჯახსა და სკოლას შორის არსებითი განმასხვავებელი ნიშნების დადგენა და მუშაობის აგება ამ განსხვავებული ნიშნების გათვალისწინებით. ოჯახის მთავარი საზრუნავია ბავშვის ფიზიკური აღზრდა და გაზრდა, უფრო ფიზიკური გაზრდა. ამ ცნებაში იგულისხმება კვება, ჩაცმა-დახურვა, საჭიროების შემთხვევაში მკურნალობა. ოჯახის მშობლების საქმიანობაში აღზრდის ეს მხარე იმდენად დიდ დროს მოითხოვს, რომ მშობელს კიდევაც რომ შეეძლოს შვილთან პედაგოგიური ღონისძიებების ჩატარება, მას ამისთვის 24 საათიან დღე-ღამის ციკლში, ყველაზე უკეთეს შემთხვევაში, სოციოლოგების გამოკვლევით, 10-12 წუთი თუ რჩებათ. მაგრამ ეს მაშინაც უქმად იკარგება, თუ მშობელს პედაგოგიური განათლება არა აქვს და მხოლოდ აღზრდის ხალხური ტრადიციებით კმაყოფილდება. აღზრდის ხალხური ტრადიციები კი ემყარება **ჩვენებას და მიბაძვას.** მშობლებმა და ოჯახის სხვა წევრებმა თუ უნდათ კარგი აღზრდა მიაღებინონ შვილებს, კარგი საოჯახო და პირადი ურთიერთობების მაგალითები უნდა **უჩვენონ.** მოზარდები კი მათი **მიბაძვით** იძენენ წარმოდგენას ადამიანებს შორის კარგი ურთიერთობების შესახებ.

შვილებთან პედაგოგიური მუშაობის წარმართვაში მშობელთა უმრავლესობის უმწეობის შესახებ იან ამოს კომენსკიც მიუთითებდა: „ცოტაა ისეთი მშობლები, რომლებსაც შეუძლიათ თავიანთ ბავშვებს რაიმე სიკეთე შეასწავლონ ან იმიტომ, რომ თვითონაც არაფერი ამის მსგავსი არ უსწავლიათ, ან იმიტომ, რომ გართული არიან სხვა საქმეებით და ამაზე არ ზრუნავენ.“ [2, გვ. 22] სხვა ადგილას ისევ ეხება ამ საკითხს კომენსკი და აღნიშნავს: მშობლები იშვიათად არიან დაუფლებული ბავშვის აღზრდის ხელოვნებას, ან იშვიათად აქვთ მოცალეობა [2, გვ. 72]

სკოლისაგან განსხვავებული შინაგანი განწყობით ცხოვრობს ოჯახში ბავშვი. ოჯახში ის ყველასათვის **მთავარი ზრუნვის საგანია** და შესაბამისად ბავშვიც ოჯახის წევრებისაგან მხოლოდ მზრუნველობას, მოფერებას და მოსიყვარულებას მოელის. სკოლაში მოსული კი – პირიქით, მასწავლებლისაგან რჩევა-დარიგებას, სწავლებას მოელის და ნაკლებად მოფერება-მოსიყვარულებას. აქედან გამომდინარე აღზრდის ეფექტი, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვი ოჯახთან შედარებით სკოლაში დროის მცირე მონაკვეთს ატარებს, მაინც მეტია სკოლაში. ამრიგად ოჯახის ძირითადი ფუნქცია არის **გაზრდა**, ხოლო სკოლის ძირითადი ფუნქცია არის **აღზრდა.** რა თქმა უნდა ოჯახშიც გარკვეული დრო ეთმობა აღზრდას და შესაბამისად, სკოლაც არ არის ჩამოშორებული ბავშვის გაზრდას,

რადგან ფიზიკური კულტურის გაკვეთილები ბავშვის სწორედ ფიზიკურ გაზრდას უწყობს ხელს. უფრო დეტალურად ოჯახისა და სკოლის ფუნქცია-მისიებს შორის განსხვავება ნაჩვენებია ცხრილში:

ოჯახისა და სკოლის ფუნქცია-მისიების ცხრილი

ოჯახი	სკოლა
ოჯახის ყველა წევრს პედაგოგიური განათლება არა აქვს.	სკოლაში პროფესიონალი პედაგოგები მუშაობენ.
ოჯახი ბავშვის ფიზიკური გაზრდის, ჯანმრთელობის დაცვის, კვების კერაა.	სკოლაში სწავლებაც აღზრდაა. ყველა სასწავლო საგანი აღზრდასაც აძლევს მოსწავლეს.
ოჯახში ბავშვი ოჯახის წევრების ზრუნვის საგნად მიიჩნევა თავს. რჩევა-დარიგებების მოსმენის განწყობილება ნაკლებად აქვს.	სკოლაში მოსული ბავშვი შინაგანად არის განწყობილი, რომ მას ასწავლონ და რჩევა-დარიგება მისცენ. მოსწავლე იმ პედაგოგს აფასებს, ვინც მეტს ასწავლის და უკეთეს რჩევებს აძლევს.
ოჯახში ბავშვი თავისუფლების სამყაროში გრძნობს თავს.	სკოლაში მოსული ბავშვი მოწესრიგებულია და სავალდებულო წესებს ემორჩილება.
ოჯახში პრაქტიკულ მაგალითებზე დაკვირვებითა და ოჯახის წევრების ცოცხალ ქცევებზე მიბაძვით იძენს ბავშვი ცოდნას.	სკოლაში მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების შესწავლით იძენს ცოდნას ბავშვი.
ოჯახში შექმნილი ცოდნა ემპირიულ ხასიათს ატარებს.	სკოლაში მეცნიერულ ცოდნას იძენს ბავშვი და ყალიბდება განათლებულ პიროვნებად.

სკოლასა და ოჯახს შორის კიდევ მეტი განსხვავების ჩამოთვლა შეიძლება, მაგრამ ახლა ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ სკოლასა და ოჯახს შორის მჭიდრო თანამშრომლობაზე ბავშვთა გაზრდისა და განვითარების საკითხებში. ამ თვალსაზრისით, პირველ ადგილზე დგას ბავშვის ფიზიკური განვითარების, ფიზიკური წრთობის და ჯანმრთელობის დაცვის მიმართ ერთიანი მიდგომის პრინციპი.

სკოლაში უნდა იყოს დამყარებული სანიმუშო ჰიგიენური წესრიგი, რაც გულისხმობს საკლასო ოთახებში ჰიგიენური წესების დაცვას, ჰაერის ნორმალურ გათბობას და ვენტილაციას, კლასების ჰიგიენური მოთხოვნების შესაბამის ინვენტარიზაციას, სკოლაში სპორტული მოედნების კეთილმოწყობას, სპორტული თამაშებისა და შეჯიბრებების რეგულარულად ჩატარებას, სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ასაკობრივი და ინდივიდუალური მოთხოვნების შესაბამის ორგანიზაციას. შესაბამისად, ოჯახიც აუცილებელია ახორციელებდეს მკაცრ ზედამხედველობას ბავშვის სააღმზრდელო გარემოს ჰიგიენურ მოწყობასა და დღის რეჟიმის დაცვაზე. როცა ეს ერთობლივი მოთხოვნები სკოლისა და ოჯახისა ბავშვის ფიზიკური

განვითარების მიმართ პედაგოგიურად გამართლებულ საფუძველზე არის დამყარებული, მაშინ წარმატებულ შედეგს უნდა ველოდოთ ბავშვთა ჯანმრთელობის განმტკიცებაშიც და სწავლებაშიც.

პედაგოგიკაში აღნიშნულ თემას ყველა თეორეტიკოსი ეხება და აღნიშნავს, რომ სკოლასა და ოჯახს შორის მჭიდრო კავშირზე დაყრდნობით სკოლამ მშობლებს შორის უნდა გაავრცელოს პედაგოგიური განათლება.

მშობელთა პედაგოგიზაცია სკოლის მუშაობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა, რომლის საფუძველიც არის სკოლის მასწავლებლის მიერ თავისი მოსწავლეების ოჯახური გარემოს (სამეცადინო კუთხის, მეცადინეობისთვის ხელსაყრელი პირობების) კარგად გაცნობა. მაგრამ ეს, უმეტეს შემთხვევაში, ვერ ცდება მხოლოდ „უნდას პედაგოგიკის“ ფარგლებს. ყველა მასწავლებელი ამას ვერ აკეთებს, ან არ იცის როგორ გააკეთოს.

მასწავლებელთაგან ბევრი ფიქრობს, რომ მან სრული სიმართლე უნდა უთხრას მოსწავლის მშობელს და ამ სიმართლეში იგი ბავშვის ანცობას, უდისციპლინობას, უსწავლელობას გულისხმობს. მეცნიერულად კი დადგენილია, რომ თუ სკოლა უნდა იყოს ოჯახის მოკავშირე და თავის მხრივ ოჯახს თუ სურს იყოს სკოლის მოკავშირე, ყველა მიმართულების კავშირის ვექტორი უნდა გადიოდეს მასწავლებელ-მოსწავლე-მშობლის ურთიერთობაზე. მასწავლებელმა ყოველ შემთხვევაში მშობელს მისი შვილის მხოლოდ უარყოფით თვისებებზე არ უნდა ელაპარაკოს. ამ შემთხვევაში მივიღებთ უარყოფით შედეგს. მშობელი შეიძლება სკოლას და მასწავლებელს. ამის გამო მასწავლებლის მხრივ ასეთ პოზიციას ჩვენ **პედაგოგიურ სიყალბეს** ვუწოდებთ. ყალბია ყველაფერი, რაც უკუშედეგს იძლევა აღზრდაში. მასწავლებელი, პირველ რიგში, ოპტიმისტი უნდა იყოს. შეიძლება მშობელმა შესჩვილოს სანდო და ავტორიტეტულ მასწავლებელს, რომ მისი შვილი ოჯახში საჭირო დროს არ უთმობს საშინაო დავალებების შესრულებას, არ კითხულობს კლასგარეშე ლიტერატურას, დროს ხშირად მიზანშეუწონლად ხარჯავს, ოპტიმისტმა მასწავლებელმა მშობელი უნდა დააიმედოს მისი თანადგომით და გააძლიეროს მოსწავლესთან აღმზრდელობითი მუშაობა. ასეთ მასწავლებელს ცნობილი ქართველი მწერალი ოტია იოსლიანი **„დედა-მასწავლებელს“** უწოდებს: „დედა-მასწავლებელმა“ იცის ბავშვის ძლიერი და სუსტი მხარეები, იცის რატომ იგვიანებს გაკვეთილზე და რატომ ვერ ასრულებს საშინაო დავალებებს. მაგრამ არიან **„დედინაცვალი-მასწავლებლები“**, რომლებიც მკაცრად განსჯიან მოსწავლეებს (პოულობენ მხოლოდ უარყოფით თვისებებს), მოითხოვენ, რომ აღსაზრდელი არ აგვიანებდეს, არ აცდენდეს გაკვეთილებს, იგი ვალდებულია ყოველდღე ასრულებდეს საშინაო დავალებებს. „დედინაცვალი-მასწავლებლის“ არც ერთი ეს მოთხოვნა უსაფუძვლო, არაკანონიერი არ არის, მაგრამ არ არის პედაგოგიური, რადგან იგი არ ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ თავისებურებებს და არ ცდილობს დაიცვას პედაგოგიური მოთხოვნა - ბავშვის პიროვნებაში დადებითზე დაყრდნობის პრინციპი. ცნობილია, რომ აღმზრდელობითი პროცესი წარმატებით ხორციელდება, თუ აღმზრდელი დადებითზე დაყრდნობით ცდილობს პიროვნების აღზრდას. არადა, არ არსებობს ბავშვი, რაოდენ ზარმაცი, დაუდეგარი და თავნება იყოს, მასში ერთი კარგი თვისება ვერ აღმოაჩინოს პროფესიონალმა აღმზრდელმა. ასეთი აღმზრდელის

გავლენა მოსწავლის პიროვნების ჩამოყალიბებაზე განუზომელია. მე შევხვდი მოსწავლეს, რომელმაც გაბმული წერა-კითხვა არ იცოდა. ბავშვს ცოდნისადმი სიყვარული ვერ ჩაუნერგეს დაწყებით კლასებში, ცხადია, არც საშუალო სკოლის V კლასში აპირებდა ეს ყმაწვილი სწავლისათვის თავის შეწუხებას. ერთ დღეს მასწავლებელს დასჭირდა საუბარი „კაი ბიჭის“ შესახებ და ხაზგასმით აღნიშნა, რომ კარგია ბიჭი, რომელსაც არ ეშინია და რომელსაც რაიმეს გაკეთება შეუძლია, (ცეკვავდეს, მღეროდეს, უკრავდეს, ფეხბურთს თამაშობდეს, კარგი ტანმოვარჯიშე იყოს და ა. შ.). ეს წერა-კითხვის უცოდინარი ბიჭი წამოდგა და უთხრა მასწავლებელს: მე ვცეკვავო. პროფესორი იური ბიბილეიშვილი, რომელიც ამ მოსწავლეს ასწავლიდა ბათუმის ყოფილ №6 საშუალო სკოლის V კლასში, იგონებს: მეც შევაქე და ვუთხარი ძალიან ვაფასებ ნიჭიერ მოცეკვავეებს. ერთ ძლიერ წვიმიან დღეს ოჯახში მესტუმრა ეს ყმაწვილი და მიუთხრა: დღეს ტელევიზორში გამოვდივარ და მნახეთ, როგორ ვცეკვავო. ბავშვი ძალიან დასველებული იყო, შემოვიყვანე სახლში, გამოვუცვალეთ ტანსაცმელი და დაველოდე აჭარის ტელევიზიით ანსამბლ „გაზაფხულის“ კონცერტს. საღამოს 6 საათზე დაიწყო გადაცემა. ვნახე და მომეწონა. მოსწავლევ ჩემთან ერთად ხარობდა. მეორე დღეს ეს მოსწავლე და მისი მშობელი ერთად მოვიდნენ სკოლაში. აინტერესებდათ უშუალოდ მასწავლებლისაგან მოესმინათ კმაყოფილებისა და მოწონების სიტყვები. ამით ვისარგებლე მეც და ისე, რომ სიტყვა „უცოდინარი“ არ გამომიყენებია, მოვილაპარაკეთ, რომ და და დედა ყოველდღე ავარჯიშებდნენ წერა-კითხვაში. ასეთი მუშაობის შედეგად IX კლასში ეს ყმაწვილი ერთ-ერთ მუყაით მოსწავლედ ჩამოყალიბდა.“

ძალზე მნიშვნელოვანია მშობლების აქტიური ჩართულობა სასწავლო პროცესში. აღსაზრდელთათვის მნიშვნელოვანია მშობლების სისტემატური ყურადღება, თანადგომა და თანამშრომლობა, რასაც განაპირობებს მშობლის შეგნებული დამოკიდებულება სწავლა-აღზრდისას შვილის პრობლემებისა და შეცდომებისადმი. ამ უკანასკნელს განმსაზღვრავს მასწავლებელთა ქცევა და საუბრები მშობლებთან შეხვედრისას.

მეცნიერებაში დიდი ხანია აღიარებულია, რომ კარგი განწყობილება და ღიმილი თუ სასკოლო და საოჯახო ცხოვრების გაბატონებული წესია, მოსწავლის ინტელექტუალური უნარების განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემო წარმოიქმნება. მოსწავლეებში კარგი განწყობა და ღიმილი იზრდება, როცა კარგად ასწავლიან. თუმცა მასწავლებლის მიერ საკუთარი მისიის სრულად შესრულება არ ამოიწურება კარგად სწავლებით სკოლაში. მასწავლებლის მუშაობა მშობელთან მიზნად ისახავს სკოლასთან ოჯახის ორგანული კავშირის განტკიცებას, რაც ისევ მოსწავლის ახალი ცოდნის გამდიდრებაში გამოიხატება. სკოლის კვალდაკვალ ოჯახიც უნდა ცდილობდეს მოსწავლის მუშაობა საშინაო დავალებების შესასრულებლად იყოს საქმიანი, გააზრებული, პრაქტიკაში ცოდნის გამოყენების უნარ-ჩვევების განმტკიცება ხდებოდეს. გააზრებული სწავლის საუკეთესო საშუალებად კლასიკურ პედაგოგიაში მიიჩნევენ **სხვისთვის სწავლებას**. იან ამოს კომენსკი წერს: „როცა მოსწავლეს მუდამ ექნება საშუალება შეასრულოს, ასე ვთქვათ, მასწავლებლის მოვალეობა, ის იგრძნობს ერთგვარ მხნეობას და სწავლის ხალისს და გამოუმუშავდება გამბედაობა, რომ საზოგადოების წინაშე გატაცებით

ილაპარაკოს ყოველგვარ მნიშვნელოვან საკითხებზე, ხოლო ეს განსაკუთრებით სასარგებლო იქნება ცხოვრებაში.“ [2, გვ. 187]

კლასიკური პედაგოგიკის წიაღიდან მომდინარე ეს იდეა, სამწუხაროდ ფართოდ ვერ დაინერგა ოჯახებში, პირველ რიგში, იმის გამო, რომ მშობელთა პედაგოგიზაცია, რასაც სკოლის მასწავლებლები ატარებენ, უმეტესად ფორმალურ ხასიათს ატარებს. მასწავლებელთა ურთიერთობა მოსწავლეთა მშობლებთან სწორედ იმიტომ დგას დღის წესრიგში, რომ ამაღლდეს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების დონე. რამდენჯერაც უნდა შეხვდეს სკოლის მასწავლებელი მშობელს, გაუკრიტიკოს შვილი და მშობლისაგან მოითხოვოს ყურადღების გაძლიერება, პრობლემა - მოსწავლის აკადემიური მოსწრების დონე - მაინც უცვლელი დარჩება, პირველ რიგში იმიტომ, რომ **ყველა საგანს ყველა მშობელი ვერ ასწავლის შვილს**. მეორე, ყველა მშობელს არ გააჩნია ცოდნის ის მარაგი, თუნდაც ერთ საგანში თანამედროვე პირობებში ზედმიწევნით ასწავლოს შვილს ოჯახში. მესამე, კიდევ რომ იცოდეს მშობელმა ის საგანი, რომელშიც ჩამორჩენილობის გამო საყვედურს ეუბნება მასწავლებელი, მშობელს ოჯახში არა აქვს იმდენი თავისუფალი დრო, დაუჯდეს შვილს და არა მხოლოდ აუხსნას, არამედ დაასწავლოს კიდევ. ჩვენ ვიცნობთ ერთ ოჯახს, რომლის დიასახლისმაც სამსახურს თავი დაანება, თავისი შვილის ჩამორჩენილობისათვის რომ ეშველა. ეს „შველა“ კი გამოიხატებოდა იმაში, რომ სკოლიდან დაბრუნებულ შვილს ასაძილებდა, შემდეგ ცოტას დაასვენებდა და შეუდგებოდნენ „მუშაობას“. დედა აიღებდა ხელში სახელმძღვანელოს და სანამ სიტყვა-სიტყვით მოცემულ შინაარსს არ გაზუთხავდა მისი შვილი, მანამ ორივე კუთხულობდა საგაკვეთილო მასალას. შედეგად კი მივიღეთ ის, რომ შვილი ფაქტიურად გამოყეყედა, შეძენილ (უფრო სწორად დამახსოვრებულ) ცოდნას ცხოვრებაში ვერ იყენებდა, პირად ცხოვრებაში თანატოლებთან იქნებოდა ეს თუ უფროსებთან, ვერც ერთ ლიტერატურულ სახეს ან მეცნიერულ დებულებას ვერაფერში იყენებდა. იან ამოს კომენსკის რეკომენდაცია კი შედარებით ადვილ მეთოდს გვთავაზობს, და ამავე დროს უფრო შედეგიანს. ყველაფერი დამოკიდებულია **თვით მოსწავლის აქტიურობაზე**: 1) ბევრ შეკითხვაზე; 2) შეკითხვების დამახსოვრებაზე; 3) დამახსოვრებულის სხვისთვის სწავლებაზე. თუ ამ რჩევას და რეკომენდაციას შემოქმედებითად მიუდგება მასწავლებელი, მშობელს მოამზადებს იმისათვის, რომ მოუსმინოს შვილს, რომელიც მას „აუხსნის ახალ გაკვეთილს“ - ეს კი ასეა შესაძლებელი: ნასაძილევს, დასვენების შემდეგ შვილი ისწავლის მასალას, რომელიც ხვალ უნდა ჩააბაროს მასწავლებელს და დღეს დედას, მამას ან ოჯახის სხვა წევრს, რომელსაც ევალება იზრუნოს ბავშვის აკადემიური მოსწრების დონის ამაღლებისათვის, აუხსნის, იმის მიხედვით, თუ როგორ აუხსნის ის ამ მასალას თავის ოჯახის წევრს, უნდა შეფასდეს მისი მომზადება ხვალინდელი შემოწმებისათვის. ეს მოსმენა, ბუნებრივია, არ უნდა იყოს პასიური, მსმენელმა შეგნებულად უნდა დაუსვას გზადაგზა კითხვები ცალკეულ დებულებებში კიდევ უფრო გარკვევისათვის - დარწმუნებული ვართ, ასეთი „საოჯახო სწავლის“ შედეგი იქნება მყარი, მტკიცე და შეგნებული.

მასწავლებლისა და მოსწავლის მშობელს შორის ნორმალური ურთიერთობის დამყარების მთავარი მოტივია მასწავლებლის **ერუდიცია**. მასწავლებელმა არა მხოლოდ ცოდნით, არამედ განათლების ძალით, ერუდიციით უნდა დაარწმუნოს

მშობელი თავისი რეკომენდაციების ჭეშმარიტებაში. მას მედიცინაშიც ფართოდ იყენებენ და მას ლოგოთერაპიას, ანუ სიტყვით მკურნალობას უწოდებენ, მაგრამ განა ყველა მკურნალ-ექიმს შეუძლია გამოიყენოს თავის პრაქტიკაში ლოგოთერაპია. ლოგოთერაპიას მხოლოდ მაღალი ერუდიციის მქონე ექიმები მიმართევენ და ავადმყოფებსაც სჯერათ მათი.

მასწავლებელს კიდევ უფრო მეტად სჭირდება ფართო ერუდიცია, რადგან, ექიმებისაგან განსხვავებით, მას მედიკამენტური მკურნალობის საშუალება არა აქვს, მასწავლებელმა მხოლოდ სიტყვით უნდა გადაწყვიტოს მთავარი ამოცანები.

მასწავლებლის ერუდიციას წარმოქმნის, პირველ რიგში, საკუთარი პროფესიისადმი დამოკიდებულება. ა. ს. მაკარენკო ხაზგასმით მიუთითებდა, რომ მასწავლებლის სიყვარული თავისი პროფესიისადმი მჭიდროდ უკავშირდება აღსაზრდელის სიყვარულისა და მისი პიროვნების პატივისცემას. [3]

მასწავლებლისა და მოსწავლის მშობლის ურთიერთობა ცოცხალი საქმეა. იგი სისტემატურად უნდა იხვეწებოდეს და მდიდრდებოდეს შინაარსით. მასწავლებელთან შეხვედრას უნდა ნატრობდეს მშობელი. ასეთ პედაგოგს შეუძლია გაღიზიანებისა და ნერვოზული სიტუაციებისაგან დაიცვას მშობლებიც და აღსაზრდელებიც, რაც მოსწავლეთა ჯამრთელობის შენარჩუნებისა და სწავლების მაღალი ხარისხის საწინდარია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კ.დ. უშინსკი, რჩეული პედაგოგიური თხზულებები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1974 წ.
2. იან ამოს კომენსკი, რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, ტომი პირველი, დიდი დიდაქტიკა, საქართველოს სსრ პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი 1949 წ.
3. ა. ს. მაკარენკო „სიტყვა მასწავლებელზე“, თბილისი, 1977 წ.

Article received: 2011-12-26